ხელშეკრულება #55

(მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისა და აღნიშნული მომსახურების გაწევის მიზნით მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ)

თბილისი 21 იანვარი 2021 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის, ალექსანდრე ტურძილაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „კავკასიის მედიცინს ცენტრი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორის ნათია ნუცუბიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.2 „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N 828 დადგენილება (შემდეგში -დადგენილება).
1.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.
1.4 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება.
1.5 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.
1.6 „ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამა, ლაბორატორიული კონტროლის და ნახველის ლოჯისტიკის კომპონენტი.
1.7 აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომის მდგრადობის უზრუნველყოფა" პროგრამა;
1.8. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება ზემოაღნიშნული დადგენილების პირობები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს სათანადო ღონისძიებებს ტუბერკულოზის შემთხვევების აქტიური მოძიების და მკურნალობის განსახორციელებლად და შედეგად ქვეყანაში ტუბერკულოზის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის გასაუმჯობესებლად, „ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის" პროგრამის ფარგლებში შეძენილი მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული GeneXpert სისტემის საშუალებით, რომელიც შემსყიდველის მიერ უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაეცა მიმწოდებელს 2018 წლის 4 ივლისს #380 ხელშეკრულების საფუძველზე. რაც დადასტურებული იქნა ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
2.2. GeneXpert სისტემის უზრუნველყოფა ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო კარტრიჯებით.
2.3. აპარატის სერვისული მომსახურება.
2.4. ნახველის კვლევა GeneXpert აპარატზე (CPV85100000 SMP200005720) თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეტრე ქავთარაძის ქ. №23-ში მდებარე სამედიცინო ცენტრში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება GeneXpert აპარატზე ნახველის კვლევის კომპონენტზე (ან 2.4 კომპონენტზე) შეადგენს - 3000.00 (სამი ათასი) ლარს, მ.შ. 2021 წლის დეკემბრის თვის ღირებულება - 250 (ორასორმოცდაათი) ლარი, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3.2. GeneXpert აპარატზე ნახველის კვლევის ერთეულის ღირებულება - 10 ლარი.

4. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა" უნდა განახორციელოს რესპირაციული და/ან ტუბერკულოზზე სავარაუდო სხვა სიმპტომების შემოსული პაციენტების ნახველის შეგროვება და გამოკვლევა GeneXpert-ით. სულ რაოდენობა 300, მ.შ. 2021 წლის დეკემბერში - 25;

4.2. GeneXpert-ით ტუბერკულოზზე დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში პაციენტისათვის სხვა გამოკვლევების ჩატარება და სპეციფიკურ, ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაში ჩართვა;

4.3. ამ ხელშკრულებით გათვალისიწინებული მომსახურება ვრცელდება მხოლოდ ,,მიმწოდებლის'' სამედიცინო პერსონალის მიერ რეფერირებულ პაციენტებზე.

4.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად გადაცემული საქონელი გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პროგრამული მიზნებისათვის, კვლევა უნდა განხორციელედეს მხოლოდ ფილტვისმიერი ფორმის ტუბერკულოზის დიაგნოსტირებისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს.

5.2 „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1 "მომსახურების" გაწევის ვადა: 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ადგილი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ფორმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით შემსყიდველის ინდივიდუალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია, რომელიც განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge;.

6.4 „მომსახურების" ანგარიშგება ხორციელდება დადგენილების მე-9 მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით, მის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული „მომსახურების" შესახებ, ხელშეკრულების „6.3" და „6.4" პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.2 „მიმწოდებელი" „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად, წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ.

7.3 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე.

7.4. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".

7.5 არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს" მის საბოლოო შესწორებამდე,

7.6 „შემსყიდველისა" და „მიმწოდებელს" შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეძლევა მიმწოდებელს.

7.6.1. მიღება - ჩაბარებისა და ინსპექტირების აქტებს ხელს აწერენ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი ვერა უთიაშვილი და ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ფიქრია ნემსაძე, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში - შესაბამისი მოვალეობის შემსრულებლები.

7.7 „შემსყიდველი" ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის" სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმაა - უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3. ანაზღაურება განხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში ამ ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

8.4. მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.1.1 უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული GeneXpert სისტემა ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო კარტრიჯებით. (კარტრიჯების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მოთხოვნის დაყენებიდან 1 კვირის განმავლობაში).

9.1.2 გაწიოს აპარატის სერვისული მომსახურება მიმწოდებლის მიერ ასეთის საჭიროების დაფიქსირებიდან 1 კვირის განმავლობაში;

9.1.2. აცნობოს „მიმწოდებელს" ყველა ცვლილების შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას;

9.2.2 აცნობოს „შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილების შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

9.2.4. ხარისხის შეფასების მიზნით "შემსყიდველი"-სა და სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" სპეციალისტების დაშვება ლაბორატორიაში და მათთვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.

9.2.5. თუ მხარეები ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ აღარ განაახლებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ხელშეკრულებას „შემსყიდველის" მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში დაუბრუნოს დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონება;

9.2.6. უზრუნველყოს დროებით სარგებლობაში გადაცემული GeneXpert აპარატის სწორი ექსპლუატაცია დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობით;

9.2.7. GeneXpert აპარატის დაზიანების შესახებ აცნობოს ,,შემსყიდველ" ორგანიზაციას მისი დაზიანებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2.8. გაუფრთხილდეს შემსყიდველის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალური ქონებას და მისი დაზიანების შემთხვევასი აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზარალი თუ ის გამოწვეულია GeneXpert აპარატის არამართლზომიერი გამოყენებით ან/და ექსპლოატაციის პირობების დარღვევით.

9.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის აუცილებელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.3.4. ხარისხის შეფასების მიზნით განახორციელოს მონიტორინგი საკუთარი და სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" სპეციალისტების მეშვეობით;

9.3.5 მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, გაატაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები;

9.3.6 დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის, „მიმწოდებელს" მოსთხოვოს ზიანის სრულად ანაზღაურება.

9.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.

9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონმდებლობით დადგენილი ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9.5 „მხარეები“ ვალდებულნი არიან:

9.5.1. ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი პერსონალური ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.5.2 მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის „მიმწოდებელს“ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა დარჩენილი გასაწევი „მომსახურეობის“ ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაანგარიშებით.

10.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტის დაანგარიშებით.

10.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლი“ უარს განაცხადებს ხელშეკრულების შესრულებაზე (მ.შ. შემსყიდველისათვის 2 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გარეშე სახელმწიფო პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში) იხდის პირგასამტეხლოს ანაზღაურებული თანხის 20%-ის ოდენობით.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. „შემსყიდველს“ შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.7.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“;

10.7.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;

10.7.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.7.4. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.7.5. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10.10. ზიანის მიყენების შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მისი ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების“ მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

11.1.1. უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების“ პერიოდს (ან „მომსახურების“ დასრულებულ ციკლს).

11.1.2. არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების“ ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის არაკორექტულად მიიჩნევა ამავე ხელშეკრულების 4.3 და 4.4 პუნქტების დარღვევით გაწეული მომსახურება.

11.1.3. განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის“ მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღე.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შეთანხმებით და ფორმდება ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2 „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

12.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

12.4 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია 2 თვით ადრე აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ამ ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა.

12.6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების ენა გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 მარტამდე.

17. დამატებითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული
ცენტრი“
კახეთის გზატკეცილი #99
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB0330110020016502 2
გენერალური დირექტორის მოადგილე:
ალექსანდრე ტურძილაძე

_____

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“
ს/კ: 404925747
მისამართი ფაქტ/იურ: თბილისი, ვაკე-
საბურთალოს რაიონი, პეტრე ქავთარაძის ქ. №23
საბანკო რეკვიზიტები:სს “საქართველოს ბანკი“
ბ/კBAGAGE22
ა/ა GE42BG0000000933791700
დირექტორი:
წათია წუცუბიძე

_____

ბ. ა.

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2021.01.29 10:52:03 +04'00'

ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ ვეთანხმებით ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად მიმწოდებელთან ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზა: ო. ნამიჭეიშვილი

ვ. გეთია

გ. ქობალია

ლ. ებანოიძე

შ. ჭილაშვილი

ვ. უთიაშვილი

ფ. ნემსაძე

ა. მეტრეველი

შემსრულებელი: კ. გულუა